ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი- კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის №102/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 05.01.2012

საჩივარი შემოტანილია: ზ. კ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ზ. კ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 5 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ვ. ა. და მოითხოვა ზ. კ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წლის 14 აპრილს მან ზ. კ. დადო ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ვ. ა. ზ. კ. გადაუხადა თანხა 1500 აშშ დოლარის ოდენობით საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თანახმად, ზ. კ. უნდა დაეცვა მისი

სამართლებრივი უფლებები თურქეთის რესპუბლიკაში, ვინაიდან მას აეკრძალა თურქეთის ტერიტორიაზე გადასვლა.

1.3 საჩივრის ავტორის განცადებით, ზ. კ. აიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, თუმცა საადვოკატო მომსახურება მისთვის არ გაუწევია.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრჯერ სცადა დაკავშირებოდა ზ. კ., თუმცა იგი ემალება მას და გადაცემულ თანხასაც არ უბრუნებს. ამასთან, ვ. ა. ცნობილი გახდა, რომ ზ. კ. არ ჰქონდა უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესაბამისი სახელმწიფო ნებართვის გარეშე.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, ზ. კ. არ ირიცხება სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრად.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

3.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზ. კ. არ წარმოადგენს ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონის 1–ლი მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს. შესაბამისად, ეთიკის კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება იმსჯელოს მის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

3.3 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან ზ. კ. არ წარმოადგენს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველის მუხლის მეორე პუნქტით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

1. ვ. ა. 2011 წლის 5 დეკემბრის №102/11 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე /

კოლეგიის წევრი: /არჩილ კბილაშვილი /

კოლეგიის წევრი: / გიგა კვერენჩხილაძე /